 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

01/04/2024

MES 7 24 0000379502

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტში ვაკანტური თანამდებობების
დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5) , უნივერსიტეტის ადემიური საბჭოს 2023 წლის 25 სექტემბრის N20 სხდომის ოქმის მეორე საოქმო დადგენილების, 2023 წლის 26 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს N16 ოქმის, უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 27 სექტემბრის N 1250143 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის 2023 წლის 25 ოქტომბრის N1 სხდომის საოქმო გადაწყვეტილების, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 01 დეკემბრის N21 სხდომის ოქმის მე-4 საოქმო დადგენილების, და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მანანა ღარიბაშვილის სამსახურებრივი ბარათის (04/12/2023წ.N1644350) საფუძველზე:

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

- ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის უფროსი (1 საშტატო ერთეული);
- ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული);

- ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული);

2.წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობების მიმართ საკავლიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად (რომელიც თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);
3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (CV);
ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი (სასურველია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);
ვ) ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ ;
ზ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“.
4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;
ბ) გასაუბრება.
5. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 10 აპრილს და დასრულდეს 2024 წლის 17 აპრილს;
6. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე #206-ე ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
7. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2024 წლის 19 აპრილს;
8. კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2024 წლის 22 აპრილს 12:00 საათზე;
9. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის კანცელარიას;
10. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურს;
11.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება ნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
12.დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
13.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი / ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
რამაზაშვილი სოლომონ